

# შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 15.

კვირა, ივლისი 20, 1908 წ.

ფასი წლიურათ — 4 მან.

ნახევარა წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკით.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ ბუღალტერია.

**შინაური:** მამა გაბრიელის სურათის წინ—ბოსლეველისა; აღრჩევითი უფლება სამღვდლოების უკანასკნელ კრებაზე—უკიდურესისა; მოგონებანი—ქეციხელ საბაოელისა; ეგვიპტის მოყვანისთვის თავდადებულს (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; საოწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში—სეფეველელისა; სამღვდლოების ავ-კარგი Fanus-ისა; სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი—გ. ჩ.—ძისა;

## ყოველ კვირულ გაზეთ

### „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახებ) № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აბრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი, გაზეთი ღებულობს დასაბჭოდად ყოველგვარ განცხადებას.

### მამა გაბრიელის სურათის წინ.

ვინა გვეყავს ეხლა, რომ შენსავით მოღვაწეობდეს? ვინ დაგვრჩენია. შენ მაგიერ გაბრიელობდეს? ჩემი წარწერა გაბრიელის სურათზე.

ვდგევარ უღირსი შენი სურათის წინ!... ვდგევარ და ვჭვრეტ შენ მშვიდობიან სახეს, ქვეიან თვალებს, ლობიერ შეხედულობას, ბრძნულ გამომეტყველებას, — ვჭვრეტ და ცხადად ვხედავ შენში მოქმედ ღვთის მადლს! იმ მადლს, რომელიც ალგადგენია ჯოჯოხედაძე და ცემუღლი იმერეთი, გათათრების გზაზე მდგარი გურია — სამეგრელო, გათათრებული აფხაზეთი და გაფერნებული სვანეთი; ვჭვრეტ და ვუთაყვანები იმ სულის ძალას, რომელი-

მაც ათასნაირი დაბრკოლება გადაგათვლივინა და ფეხზე დაგაყენებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდლოება. ვაშა შენს მოღვაწეობას, დიდებულ მოყვამთავარო! მადლიერია შენი სამწყსო, მთლათ საქართველო, რომელსაც დაუცევ და შეუნახე უვნებლად მამა-პაპათაგან გადმოცემული ენა, სარწმუნოება და ქრისტიანული ზნეობა; გვიტაცებს შენი ჩუმი, უჩინარი, არა მოყვირალი, მაგრამ მდიდარი მოღვაწეობა, რომლის ნაყოფით დღესაც სტკება შენი სამწყსო, შენი სამშობლო!... დღეს, როდესაც ყოველ ბაღს გმირად მოაქვს თავი, როცა ასე გამრავლდენ ვითომდა სამშობლოსთვის და დაჩაგრულთათვის თავდადებულნი, დღეს ხალხის აურაცხელ მოძღვართა და წინამძღვართა შორის — როგორ შეგადაროთ! — მხოლოდ შენი სახე გვაქვს ნამდვილ მწყსად, ნამდვილ წინამძღვრად, ნამდვილ მამად და თავდადებულად. რატომ? მიტომ ხომ არა, მამო გაბრიელ, რომ შენ მპარავით არ შემოხვედ ღობით, არამედ ქეშმარიტი კარით, რომელ არს ქრისტე! მიტომ ხომ არა, რომ შენ „პირველად ეძიებდი სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა“ და არ პოლიტიკანობდი, კუდს არ ემხროვებოდი, არავეს უფროსად ქრისტეს იმედით იბრძოდი,



ხოდი, არ ფარისევლობდი, არ გიზიდავდა ვეცხლის მოყვარება, არ ეძიებდი თავისასა, არამედ ღვთისასა? მისთვის ხომ არა, დაუღალავო, რომ შენ მოსვენება არ იცოდი და მზად იყავი შებრძოლებოდი თვით უღიდებულესთა ამა ქვეყნისათა, როცა ამჩნევდი, რომ მათი მოქმედება პირდაპირ აბრკოლებდა მართლმადიდებლობის წინსვლის საქმეს, ხარხის თვითგანვითარების მსვლელობას? მისთვის ხომ არა, რომ შენ განათლებას უდექი სათავეში და ესწრაფებოდი, რომ შენი სამღვდელოება, შენი მადლობელი და შენგან ნაშობი და აღზრდილი სამღვდელოება, რომელიც საშვილიშვილოდ გადასცემს შენს წმიდა სახელს, გაგესწორებია სწავლა-განათლებით რუსეთის საუკეთესო ეპარქიების სამღვდელოებასთან? მისთვის ხომ არა, სულმნათო, რომ ყოველ კეთილ დაწყებულებას სათავეში უდგებოდი და არათუ ხელს უშლიდი, არამედ ნივთიერადაც კი ეწეოდი? მისთვის ხომ არა, მწყემსო კეთილო, რომ არ გინდოდა, ერთი მცირე-და თა ამათგანი დაბრკოლებულიყო, არამედ შეძლებისადაგვარად ზრდიდი და ფუფუნებდი მათ? მისთვის ხომ არა, მოწყალეო მამა, რომ შენი სასახლის კარები ღია იყო გაჭირვებულთათვის, ნამდვილ გაჭირვებულთათვის, რომელთაც შენ რაღაც განსაკუთრებული გრძნობით იცნობდი? მისთვის ხომ არა, საქართველოს იოანე ოქროპირო, რომ შენ მკვეთრი სიტყვით სდევნიდი ბიწიერებას და აკეთილშობილებდი სამწყსოს ზნეობას?

ვდგევარ შენი სურათის წინ, ბრწყინვალეო მამაო, მაგონდება ყოველი შენი ქველმოქმედება, მოღვაწეობა, ვიგონებ შენს ცხოვრებას, ვეძებ შიგ ნაკლულევანებას, მაგრამ ვერ ვპოვებ და ეს არის რომ მანუგეშებს! ვფიქრობ: ტყვილად ვემდურით გარემოებას და ვაბრალოთ მას ჩვენს დაუდევრობას, უდებებას, მცონარებას, და საზოგადოდ ბიწიერებას, სჩანს შესაძლებელი ყოფილა კაცისათვის ღვთის

დამსგავსება, შესაძლებელი ყოფილა ქრისტეს დაჯატული რეალის მიახლოვება: „იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი სრულ არსო!“ ეხლა კი მწამს რომ ყველა უფროსს, ყველა „ნაჩაღნიკს“ და მათ შორის 'ლღვდელმთავარსაც შეუძლია წინ წაიყვანოს, გზა უჩვენოს, სათლად აენტოს საზოგადოებას და გაუნათოს გზა ცხოვრებისა, მხოლოდ... მხოლოდ უნდა იყოს შენსავითი შეგნებული; უნდა შეიგნოს რომ იგი მისთვის კი არ არის დადგენილი, რათა იმსახუროს, არამედ რათა ემსახუროს, რათა არ დაუზნელოს გზა, არაიედ გაუნათლოს, რათა არა გააქროს მბეუტავი ნაკვერცხალი კეთილდაწყებულობისა, არამედ გააღვივოს და გააძლიეროს იგი, შემატოს მას გააძლიერებელი ნივთიერება.

ასეთ გრძნობეს მიძრავს მე, სულმნათო, საქართველოს ეკლესიის მნათობთა შორის მოციისკროვნე ვარსკვლავო, გაბრიელ, შენი პატარა სურათი, რომელიც მოვიბოვე შენებრ, მხოლოდ სხვა სარბიელზე, მოღვაწე აწ უკვე განსვენებულ ექიმ სამსონ თოფურიას საავადმყოფოდამ, რომელმაც ახლახან დაღია სული, როგორც სულს ღვეს შენგან განახლებული იმერეთის სამღვდელოება და აღორძინებული, ფრთებშესხმული მართლმადიდებლობა. შენი სურათი მაფრთოვანებს, მიზიდავს კეთილისაკენ, მიმატებს ძალას, მიწვევს სამოღვაწეოდ, მავალებს თავის დადებას, მიძრავს მათამოყვარებას, მთხოვს ქველმოქმედებას, მაიწყებინებს პირად გაჭირვებას და მეც მინდა შევებრძოლო ცხოვრების ზღვის ტალღებს, მინდა ჩემი უკანასკნელი ძალი და ღონე შევსწირო იმ წმიდა საქმეს, რომელსაც შენ ასე თავგანწირვით ემსახურებოდი! ასეთი გრძნობები და სურვილები მეძვრის მე შენი პატარა, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი, სურათის წინაშე და ნეტავ რას ფიქრობს ის, ვისაც შენ ძთელი შენი ტანადობით თავზე ადგიარა!...

ბოლღეველი.

**აღრჩევითი უზღუდა სამღვდლოების  
უკანასკნელ კრებაზე.**

არ ვიცი, რას ფიქრობს აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლოება, ხოლო რაც შეეხება იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოებას, სჩანს ძალიან ადელვებული და შეჩოჩქოლებულია ამ საკითხის გამო. ვინ იცის, იქნებ ქართლ-კახეთის სამღვდლოებაც გრძნობს აღრჩევით წესის უნიადაგობას, მაგრამ ჯერ არაფერი უთქვამს არც ზეპირად და არც წერილობით. გვიკვირს კი ასეთი დუმილი ჩვენი მოწინავე ძმებისა. გვიკვირს უფრო ტფილისელ მამათაგან, რომელთაც რაღაც „საცო დაუდებთ ბაგეთა თვისთა ზედა“ და ენას არ ასველებენ, თითსაც არ ანძრევენ დღევანდელ ჩვენ მდგომარეობის გამოსარკვევად და შეძლებისადაგვარად გასაუმჯობესებლად და კეთილწარსამართველად, როგორც სამწყსოსთვის ისე მწყემსთათვისაც. კარგი ხანია დაგვირეკეს და დროა მივხედეთ, რომ წირვა დადგა — მუშაობა დაიწყო; ყოველი კაცი თავის საქმეს ეფათურება, თავის პროექტი შეაქვს საზოგადო ცხოვრების მოსაწესრიგებლად, და არა თუ შეაქვს, არაჲდ ცდილობს კიდევ, ნიადაგი მოუპოვოს თავის პროექტს და დააყენოს იგი ნაშდვილ განხორციელების გზაზე. ამ დროს დუმილი და დუმილი ისეთ პირთაგან, რომელთაც შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ საზოგადო მუშაობაში, რომ დაიცვან იგი ცალმხრიობისაგან და უკიდურესი მიმართულებისგან, რომელიც, როგორც ასეთი, არასოდეს ბედნიერების მომცემი არ იქნება, სწორეთ ცოდვაა, ცოდვა მიუტევებელი, მომაკვდინებელი. გატაცების დრომ გაიარა. ეხლა დროა დინჯი, დარბაისლური მსჯელობისა და მოქმედებისა! ვისაც ხელი არ დაუბანია ამ წუთისოფლის ცხოვრებიდან, ვინც ფიქრობს ადამიანთა შორის ცხოვრებას, ის უთუოდ უნდა ერეოდეს საზოგადო ფერხულში და ხმას ად-

ლევდეს საზოგადო გიმნს, რომელიც მაშინ არის სრული და უნაკლო, როდესაც მრავალ სხვა და სხვა შენათხმებულ ხმათაგან შესდგება.

სამღვდლოების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა და დამოკიდებულობა საზოგადო ცხოვრებაში არ არის შემთხვევითი რამ, როგორც ფიქრობს ზოგიერთი ახალმოდის დემოკრატი. სამღვდლოებას მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის სულთან და გულთან და ამიტომაც არის, რომ ყოველ განვითარების საფეხურზე კაცობრიობას ჰყოლია ასეთი თუ ისეთი სამღვდლოება.

სანდონებს ჰგონიათ ერთი კალმის მოსმით მოსპობენ სამღვდლოების სახსენებელს, მაგრამ სცოთებიან: სამღვდლოება მაშინ მოისპობა, როცა ერთი კაცი აღარ დარჩება ქვეყანაზე, ე. ი. როცა სანდონების სახსენებელიც მოისპობა. მანამ კი სამღვდლოებას ნიცშეს ზეკაცებშიდაც ნიადაგი ექნება. და მაშასადამე ყველანი ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ წოდებას.

დრო წინ მიდის ცხოვრების პირობები იცვლებიან და ამის შესაფერად ფერი უნდა იცვალოს სამღვდლოებამაც, ხოლო ისე კი რომ არ დაიკარგოს სული ქრისტეს სახარებისა, რომელიც უნდა დარჩეს და კიდევ დარჩება ცხოვრების სამარადისო საფუძვლათ, თავსაკიდურ ლოდათ. ვინ უნდა იღვწიდეს ამისთვის? ვინ უნდა ეძებდეს ადგილს ცხოვრების საკიბურზე? რა თქმა უნდა, თითონ სამღვდლოება!... მაგრამ ჩვენი მოწინავე სამღვდლოება, როგორც მოგახსენეთ, სდუმს, სდუმს სამარისებური სიჩუმით და არ ვიცი, რას მივაწეროთ ეს გარემოება, მათ სიბრძნეს, თუ დაუდევრობას და მცონარებას?.. ჩვენის ფიქრით უფრო უკანასკნელს, რადგან, როცა პირად ინტერესზე მიდგება საქმე, მაშინ ყველა ფილოსოფოსია, უებრო კრიტიკოსი და მეცნიერი, საზოგადო საქმეში კი ცნობილი

ანდაზის მიძღვევარი: „ქვაო, თუ აგორდე, მე ნუ დაშეცემიო!“

უკაცრავად, მგონი, ძალიან შორს წაგიყვანეთ, მკითხველო! მომიტევებთ, იმედია, რადგან „სავესებისაგან გულისა ენა მეტყველებსო“, ნათქვამია.

მე იმაზე მოგახსენებდით, რომ აღრჩევითმა წესებმა ძრაველ შეაჩოქოლა იმერეთის სამღვდელთა თქო უნდა გამოტეხილად მოგახსენოთ, რომ აღარაჲინ ფიცავს მის უფარვისობას, უნიადაგობას და აურაცხელი უმეტესობა უკანასკნელი კრებისა აცხადებდა მის მოსპობის სურვილს, ხოლო თითებზე დასათვლელი ოპტიმისტთა უმკირესობა თხოულობდა მის შენახვას, ეგები გამოვარგდეს და კარგი შეიქნესო, ყგები ხალხმა შეიგნოს დიდმნიშვნელობა ამ წესისა და აღარ განიმეოროს ის უმსგავსი საქციელი, რომელსაც დღეს ჩადისო. რა თქმა უნდა, ესენიც მომავლისთვის ინახავდენ ამ წესებს, თორემ აწმყოსთვის ისინიც აღიარებდნენ მათ უფარვისობას ხალხის მოუმზადებლობისა გამო.

კომისია, რომელიც აღრჩეული იყო ამ საქმის შესახებ და რომელსაც უნდა დეტალურად გაერჩია მისი ავკარგიანობა, თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ სამღვდელთა პირთ აღრჩევა ღვთის ნაბნებებია და შეადგენს ძველი ეკლესიის ერთ ერთ მშვენებას და ძვირფას მხარეს რომლის აღდგენა არა თუ სასურველად, არამედ სავალდებულოდ უნდა მიგვაჩნდესო და რომ დღევანდელი უწესრიგობა ამ საქმეში დროებითია და წარმავალიო, თუმცა ეს წარმავალი დღეს ძრიელ აფერხებს შესაფერ კანდიდატების არჩევნებსო. კაცი ვალდებულია ყოველთვის მართალი ილაპარაკოს და ამიტომ არ შეგვიძლია, არ შევნიშნოთ კომისიას, რომ აღრჩევითი უფლებას არავითარი ღვთაებრივი ჩამომავლობა არა აქვს, და თუ ოდესმეს უფედა ეკლესიაში, სუფედა როგორც დროის შესაფერი ისტორიული მოკლენა,

რომელიც სხვა დროში სხვანაირად უნდა შეცვლილიყო და შეიცვალა კიდევ ძველად სამღვდელთა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის არჩევის უფლება აქონდა, აგრეთვე ბლაღოჩინისაც, — მაგრამ ეს იქას კი არ ნიშნავს, რომ ამ უფლებას ღვთაებრივი დასაბამი აქვს, რომ აქონდა, ხომ არც შეცვლა შეიძლებოდა მისი ყოველ კაცობრივს ცვალებადობის ბეჭედი აზის და სწორედ ეს ბეჭედია იმის ნიშანი, რომ იგი ღვთაებრივი ჩამომავლობისა არ არის. ეკლესიას, როგორც ქვეყნიურ საღვთო დაწესებულებას აქვს ღვთაებრივი და კაცობრივი კანონები. პირველნი უცვალელებლნი არიან; მათი შეცვლა ეკლესიას დაუკარგავს სახეს, ჩამოიყვანს უბრალო ამხანაგობის ხარისხამდე, როგორც ამას ვხედავთ პროტესტანტთა და რეფორმატთა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი დროის შესაფერად იცვლებიან და უკიდურეს შემთხვევაში ვნებენ ეკლესიის მხოლოდ ზნეობრივ მხარეს. და აი სწორედ აქ არის საჭირო ფხიზელი დარაჯი, აქ უნდა სიფრთხილე, რომ აღამიანი არ დაბრკოლდეს ზნეობრივ ზრდაში, არ შეფერხდეს მისი ამ მხრით წინსვლა, პროგრესი.

აი ამ მხრით უნდა დაფასებია კომისიას ჩვენი აღრჩევითი წესები, ამ მხრით უნდა შეხებოდა ამ წესებს კრებაც, და თუ შესძლებდა, უნდა გაეფაქიზებია იგანი იმდენად, რამდენათაც ეს მოსახერხებელია დღევანდელ მდგომარეობაში. მაგრამ კრებ.მ ვერ გაბედა ამ საკითხში შესვლა, ვერ გაბედა მისი შენება და მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა მყობადს მიანდო. მან აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ყოველ მხრივ ეს საკითხი და საქართველოს დანარჩენ ორ ეპარქიათა წარმომადგენლებთან ერთად ასეთი თუ ისეთი მსჯავრი დასდუას მას. როდის იქნება ეს და რით დაბოლოვდება ამ შეერთებული კომისიების შრომა ღმერთმა იცის, ხოლო კრებამ რომ ამ საკითხს

ვერაფერი არგო, ვერც კი შებედა განსახელ-განსაკითხავად, ეს აშკარაა.

საქირო იყო კი საპართლიანი მსჯავრი დაედო კრებას ამ საკით' ისათვის, გაეფრთხილებია, ვისიც რიგია, თუ რა ზარალი მოაქვს ასეთ აღვარ წახსნილ არჩევნებს ეკლესიისათვის, ე. ი. თვით საზოგადოებისათვის, როგორ ათახსირებს ისედაც გათახსირებულ და აბუჩად აგდებულ სამღვდლოებს, როგორ ამცირებს მის გონებრივ და ზნეობრივ ძალებს და მიჰყავს იგი გადაგვარ-გადარჯულებისაკენ. დღევანდელ დროში საშუალო განათლების მღვდელიც უადგილოა და უხიდავგო, თორემ რა ითქმის ისეთ კანდიდატებზე, რომელთაც ხალხი ირჩევს თავის უგნურებით?

ბოროტება რაც აღრე მოისპობა მით უკეთესია, თუ ხანი დაჰყო, ღრმად გაიდგამს ფესვებს და მისი არა თუ მოსპობა შესუსტებაც საგრძნობელად ძნელი შეიქნება.


ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ხალხს სრულიად მოესპოს არჩევითი უფლება. მაგრამ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ არავის შეეძლოს ამ უფლებით ბოროტად სარგებლობა. ეს მოხდება მაშინ, როცა ხალხს უფლება ექნება მ'ოლოდ გამოცდილ და მოწონებულ პირთაგან აირჩიოს კანდიდატები, რომლებს სახელი და გვარი მან არ უნდა იცოდეს არჩევნების დღემდე. რა თქმა უნდა აქაც შიგა და შიგ ისარგებლებენ ზოგიერთი უფრო დახელოვნებული პირები, მაგრამ ბოროტ მოქმედება მაინც საგრძნობელად შემცირდება და ესეც კარგი მოწყალებაა, რადგან სრული და უნაკლო საშუალების გამოჩახვა ადამიანისაგან, როგორც ნაკლები არსებისაგან, შეუძლებელია. არც იმას ვიტყვი, რომ ამით არჩევითი უფლებას ფრთები არ შეეკვეცება. შეეკვეცება, რა თქმა უნდა, და საგრძნობელადაც შეეკვეცება, მაგრამ რა ვქნათ? გულშემატ-

კივარი დედა საქიროების დროს ხანდის-ნან თავის სასოება შეიღოს თავისუფლების ფრთებს შეაკვეცოს ხოლმე, მაგრამ ვინ შეიტანს ექვს მის დედობრივ სიყვარულში, ვინ იტყვის, რომ მას ამ შემთხვევაში ამოძრავება პირადი ინტერესი და არა შეილის კეთილდღეობა?

სამღვდლოებისათვის პირადად სულერთია, ვინ აირჩევს მას ხალხი თუ მართებლობა. მისი სიმპატია ყოველთვის პირველი არჩევნებისკენ იქნება კიდევ, რადგან თავის არჩეულ სამღვდლოებს, ხალხი უფრო ნდობით მოეპყრობა და ეს უკანასკნელი (ნდობა) კი არის უტყუარი საბუთი სარწმუნოების და ზნეობის წარმატებისა და გაღვიძება-გაცოცხლებისა, თუ, რასაკვირველია, ამასთან არჩეული პირები თითონ არიან შემკულნი ამ საღვთო ღირსებებით, თუ იგინი შესაფერნი არიან თავის დანიშნულებისა, როგორც ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელნი და ცხოვრებაში მის გამტარებელ-გამახორცაელბელნი. ბოლო რა უნდა მოეთხოვოს იმ მღვდლებს, რომლებიც გუშინ ქრთაძებს არიგებდენ და ხალხს პირდებოდენ თქვენი ყურმოქრილი ყვა ვიქნებით, რასაც გვიბრძანებთ იმას ვიქო, იმას ვიწარმოებთო, ოღონდ ოღარი გადაგვიდეთო! რა ფასი ექნება იმ სარწმუნოებას, რომლის მქადაგებელი ქრთაძეს დაუწყებს რიგებას, იმ ზღაპრული ხუცის არ იყოს, რომელსაც მხარზე საჩვენელი გაედო და იძახოდა, ვინც მაწირვივ, ამ სახენელს გაჩუქებო! საქიროა ხალხმა შეიგნოს, რომ, ვინც მღვდლობის მისაღებად ქრთაძებს არიგებს, ის არც მღვდლად ვარგა და არც კაცად. როცა ამას შეიგნებს და სამღვდლო პირს მისი ზნეობრივ-სარწმუნოებრივ მხრით დააფასებს და არა ვეცხლით, მაშინ თავისთავად გაიშლის ხალხი თავის შეკრულ-შეკვეცილ თავისუფალ არჩევნების ფრთებს! მაშინ აღარ იქნება საქირო მისი ძიძაობა, მისი ხელით ტარება, მაგრამ ჯერ კი ისიც და (მოგვიტყვეთ) მისი ხელმძღვა-

ნელნიც... თუ ვინმე იწყენს, მაგალითებით აუხსნებთ უბეჯიბეებს...

უკიდურესი.



**მ ლ ზ მ ნ ბ ა ნ ი.**

გავრძელება. \*)

პროპაგანდისტებს, სურდათ რა ხალხის აღელვება და ბრძოლისათვის წაქეზება, უმარტად ნენ ხალხს მიზნებს მისის დაბეჩავება-სისაწყლისას და უთითებდნენ სხვა და სხვა გარემოება პირობებზე და შემაწუხებელ პირებზე, რომელთაც გარდამეტებულს სიმძულვარით იხსენიებდნენ ხალხის წინაშე. მაგრამ არც ერთი თანამდებობის პირი არ ჩავარდნილა ისეთ გასაქირში, როგორშიაც ჩავარდა საწყალი სოფლის მღვდელი: ყველასაგან ზიზღი და დაცინვა, დაუფასებლობა მისი შრომისა, დამწევა; საითაც წახვიდოდი ყველგან გიკოდნენ „ღვდელი, ღვდელი, შე სულის მტერი, შე ქვეყნის ამომგდებო“, და სხვა, ზოგი კიდევ, დაინახავდა თუ არა მღვდელს, მოყვებოდა ლოცვებს: „უფალო შეგვიწყალენ, მამაო ჩვენო, ამინ, დიდება შენდა, ალილუია“ და სხვ. რასაკვირველია, ამას შერებოდნენ მღვდლის გასახელგებოდ, მის გასალანძლავად. ერთი სიტყვით, მღვდელი შეიქნა „საყვედრელ კაცთა და შეურაცხ ერისა. (ფსალ. 26, 6-7). სოფლის უსწავლელ ხალხს კიდევ ეპატივება თუ სხვისგან ჩაძახილ-ჩაბერილ სიტყვა-აზრები ვერ მოინელო, კარგათ ვერ გაიგო და შეითვისა და ამისათვის რაიმე უზრდევლობა და უსამართლობა მიაყენა ვისმეს პიროვნებას, მაგრამ რა ვიფიქროთ ისეთ პირზე, რომელსაც სქელი ქალღმადრი უჭირავს ხელში (დიპლომი) მეცნიერების ცოდნის დასამტკიცებლათ, როგორც ბრძანდება ერთი ფარმაციის პროვიზორი. ამან არ ინება 20 დეკემბერს 1905 წ. ერთი ადა-

მიანის ზესტაფონიდან ქუთაისში წაყვანა დელეგატის მატარებლით, იმიტომ რომ იგი მღვდელი იყო, გახუნებული ანაფორა ეცვა და არა იძისავით მაუდ-კასტორის მატერიისგან კოპწიათ შეეკერილი ტუეურკა და ათ თუმინანი დაბამბული პალტო. საყურადღებოა ამ მარქსის საყვარელ მოწაფის სიტყვები: „ღვდელი, ამ პარაფოზს მოეხსნი, მატარებელს მთლად დაეამტერე და შენი წაყვანა კი არაფრის გზით არ შეიძლებაო“, უბრძანა სახელგანთმა მეცნიერმა საწყალ მღვდელს, რომელსაც ცოლშვილი ქუთაისში ჰყავდა და თვითონ კი გაფიცვების დროს დეკემბერში სოფლად მოქცეოდა; „ან მეცდარს დაგვანებთ თავი ღვდლებმა ან ცოცხლებო.“ ის იყო უნდა ჩავგდო ძირს მღვდელი და იქვე დაეტოვებია, მაგრამ ღვდელს გამოეკომაგენ მადლიანი და შესმენილი პირები და გაჯიუტებულ პროვიზორს აუხსენს, რომ თუმცა ეს მღვდელია მაგრამ ისიც ადაშიანია და ადამიანურათ უნდა მოგვეპროთო. ესეც შენიპროვინების ხელშეუხებლობა წავიღულღულე მე! პატივცემული ალექსი ბერის არ იყოს: „შენ ჩემო ძმაო, ტანისამოსს ნუკი უჭურებ და ისე აფასებ კაცს; ანაფორა მაცვია, ჩოხა თუ სერთუკი სულ ერთია; თუ რამე უწესოება დაინახო ჩემში, მაშილღე, დამსაჯე და ისე კი რა სამართლიანობა იქნება ამა თუ იმ ფორმის ტანისამოსის ტარებისათვის ვაძაგოთ ან ვაქოთ ვინმე?“ განა, ვეკითხები მე ზემოხსენებულ მეცნიერ მარქსისტს ანაფორა საკმაო ნიშანი და საბუთია კაცის სიწამხდრის გაფუჭებულობა-ზნედაცემულობის დასამტკიცებლად, რომ მისი ვინაობის გაუცნობვლად შეიძლებოდეს ყოველ ანაფოროსანის არა ადამიანად აღიარება? განა, მისის აზრით, მარტო გძელ კაპა-ანაფორაში იფარავს თავს დიდი ცოდვები, და მისს მოკლე სერთუკსა და პალტოში კი ვერსად შეაფარებენ თავს ადამიანის დამამკირებელი თვისებანი? მარტო ბატონი პროვიზორი არ გვეგონოთ ზემოთქმული აზრისა და შეხედულობის მქონებელი. სახელი მისთანებისა „ლევგონია“, რასაც ქვევითაც დავინახავთ.—მეც იმ დროს მომიხდა ქიათური დამ ქუთაისში წამოსვლა, როდესაც სხვა და

\*) იხ. „შინ. საქმეები“ № 14.

სხვა კუთხიდან დაიძრენ ახალთაობის გასა-  
 მარჯვებლად შედგენილი ჯარ-რაზმები; სხვა-  
 თა შორის ქაათურიდამაც მოდიოდა 200 შე-  
 იარაღებული ყმაწვილი და ოთხიოდე ვითომ  
 მოწყალეების და. მხოლოდ დღეგატის მა-  
 ტრებელი მუშაობდა მაშინ და ჩემ წა-  
 ყვანასაც ძლიერ ითაკილებდნენ გმირი ყმა-  
 წვილები, რომ ერთი კარგი ნაცნობი არ გა-  
 მომჩენოდა იმათ შორის. ჩამოვედით შორაპ-  
 ნამდის. აქედგან კი ყველანი ფხოო წაკემგზავ-  
 რეთ ზესტაფონამდე; აქ უნდა მომხდარიყო  
 „გენერალური“ „ამოტრი“ ახალთაობის ძლე-  
 ბისა და ამიტომ იქ იყრიდნენ თავს რაზმელები  
 თავიანთ მეთაურებ-სარდლებით. რაზმელებ-  
 მა გაშალეს თავისუფლების დროშა და შემოს-  
 ძახეს მარსელიოზა. მე და ერთი სერთუკოსა-  
 ნი, თანამგზავრი ჩემი, ერთად მივდამოდიწან.  
 მე ვფიქრობდი: აი ნამდვირი შგნებული მებრ-  
 ძოლი ხალხი, რომელიც უსამართლოებს არა-  
 ვის შეარჩენს მეთქი და გულში რაღაც სიხა-  
 რულს ვგრძნობდი; ვიმედოვნებდი, რომ  
 თუ გამარჯვება ამათ დარჩათ, საწყალი კაცის  
 საქვე სამუდამოთ გაკეთდება მეთქი; მაგრამ აე-  
 თი რმელები მალე გამიქარწყულა მათმა საქცი-  
 ელმა და უდიერობა: მომატანეს რა თვარი  
 გზაზე მიმავალ, მორთეს ყვირილი: „მამაო, მა-  
 მაო, შე ქრისტეს მტერო, შე ქრისტეს მიერ  
 დაფრეჟილ-დაგლეჯილო!!“ ვაშა, ვაშა ვაქცაქ-  
 ნო და გულადნო მეომარნო, თქვენს მტეი  
 სხვა ვერკინ მოახერხებს ამ გმირობას—უდა-  
 ნაშაულო აღამიანის საცინლად აგდებას და  
 გლანძღვას და ალალია თქვენთვის იარაღ-შე-  
 ტყუპილობა! მე კი, წარმოვიდგენდი რა ძველ-  
 თა რაინდთა საქციელს, ვიმედოვნებდი, რომ  
 სხვამ რამე მკადროს ამ გზაზე უკანონოთ და  
 უსაფუძვლოთ, ესენი თავს გამოიდებენ ჩემთვის  
 და მიშველი ნთქო და თურმე თვით ესენი ყო-  
 ფილან ყოველად უპატიოსნონი, უზრდელ-მოუ-  
 ხეშაენი, ანუ როგორც სამართლიანად დაარ-  
 ჰვა ჩემმა თანამგზავრმა, „ნედოროსლები“, აბა  
 რომელი მარჯებული და სვინიდიისი მექონე  
 აღამიანი იკადრებს სხვის გლანძღვას, აბუჩად  
 აგდებას მარტო იმიტომ, რომ სხვა ტანისამოსი  
 აცვია და არა ისეთი, როგორც ამათ? მაგრამ

მართალი ნათქვამია „კოკასა შიგან რაცა  
 სდგას, იგივე წარმოდინდებისო“. ალბათ წმინ-  
 და წყლის მეპატრონენი არ ბრძნებულან ეს  
 დაჩაგრული ყმაწვილებითქო, გადავსწყვიტე  
 გუნებაში, თორემ როგორ ეკადრებდნენ, ასე  
 უდიერად მოეპყრან მგზავრ კაცს, ვინც უნდა  
 იყოს იგიქო? დამავიწყდა მეთქვა, რომ ასეთი-  
 ვე ყვირილით და ოხუნჯობით შეუტეეს მეო-  
 რე მღვდელსაც, რომელიც ზესტაფონიდგან  
 შორაპანს მიდიოდა. „მოწყალეების“ დები კი  
 იცინიან, იცინიან, კვდებიან სიცილითა! ერთის  
 სიტყვით, მღვდელი შეიქნა ყველგან და ყვე-  
 ლასაგან სამასხარაო და საცინლად ასაგდები.  
 ნუ იფიქრებ, რომ რაც უნდა ხალხის მოყვა-  
 რული, შემბრაღე და მეგობარი იყო, დაგა-  
 ფასონ და არ გაგლნძღონ-გავათრიონ: ესენი  
 (გაუგებრათ ახალთაობის მაწარმოებელნი და  
 ამათი ამყოლნი) მარტო ტანისამოსით ამტკი-  
 ცებენ ხალხის მტრობა-მეგობრობას, ანაფო-  
 რა ხალხის მტრობის დამამტკიცებელია, აბა-  
 ლობი, ჩიხა და სერთუკი კი—მეგობრობა-სა.  
 ეს ტყუილი კი არ გვეგონოთ, მართალია; წარ-  
 მოიდგინეთ თუ გინდ ჩემი მღვდომარეობა: ერ-  
 თი თვის ნაკურთხი ვიყავი, მანამდის კი ჯნი  
 და ღონე სკოლაში მქონდა დაღეულ და სუ-  
 სტებული, თუ ვინმეს გაუღლეტოვ რ, თუ ვინ-  
 მეს წაუტომეგია რამე ჩემთვის, თუ ვინმეს ტყუ-  
 ილა უმუშავებიქარ, თორემ მე არვინ გამილ-  
 ლეტია, არავისთვის არა წამირთმეგია, ტყუი-  
 ლა არავინ გამირჯია, ერთი სიტყვით გაყვლე-  
 ფილი თუ ვინმესგან ვყოფილვარ, თორემ გამ-  
 ყვლეფელი არავისი ვყოფილვარ და აი ახლა  
 ანაფორის გამო მეც გამყვლეფედად მალვია-  
 რეს, მეც ხალხის სისხლის მწოველ დ დამსა-  
 ხეს და ეს რას ამტკიცებს თუ არ იმს, რომ  
 მოქმედება-დანაშაულობას კი არ აკვირდებოდა  
 ბევრი, არამედ მარტო ჩაცმულობას! რაღაც  
 დიდ ბედნიერებას გამოველოდით ახალთაობიდ-  
 გან, უყურებდით მას სინათლედ, მაგრამ „რა-  
 ლაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია“!  
 სინათლე დაჩრდილა ბნელმა!

ქვეციხელ-საბაჟოელი.  
 (შემდეგი იქნება).



ვაგონები მოჰყვინთვის თავდადებულს.

ვერა ხედავთ ამ საცოდავს,  
მიზანს ასცდა, აუხვია,  
თავის თავსა ვერა არგო,  
სხვისთვის, თითქოს, კი უხვია?

ვერ მიხედები მაგის ზნე-წესს,  
სხვა გვარია, სხვა ფერია,  
„სამშობლო და მისი ბედი“  
მუდამ პირზე აკერია.

ერთობას და ძმობას ურჩევს  
ყველას, გულით, მეგობრულად,  
სიკვდილს ნატრობს სულთა მხედლსა,  
როს სხვას ხედავს დაჩაგრულად.

არა ფიქრობს შავი ღლისთვის  
შეიკრიბოს რაჟე უნჯი,  
არც ღღეს არის კმაყოფილი  
ასში ერთხელ მისი კუჭი.

ქვეყანას კი მისი ფიქრით  
თავს ევლებს, უდგას მცველად  
როგორც ჩვენი წინაპრები.  
ფარ-ხმალ-შუბით მტრის წინ ძველად!

პირდაპირ:  
არა ძმაო! მაგ სიბრძნევით  
ნულარ ივლი ნურასოდეს,  
შენს კუჭს, შენს კუჭს ემსახურე!  
ქვეყნისათვის რა გაბოდებს?!

თუ გინდა, რომ დაიქარო  
ხელში, ბედის საბლის წვერი,  
ტყვილის გულათ გარდაიქეც,  
გაძვერი და გამოძვერი,

ვინც მოგენდოს უღალატე,  
თუ რა გკითხოს, დაატყვილე,  
საიდუმლო გამოკითხე,  
გაიქეცი, გაამხილე.

ათასი რომ დაგგმონ, გკიცხონ,  
აარიდე ყველას ყური,  
თუ გინდა რომ გაუწიო  
შენს კუჭს სწორი სამსახური.

უფროსებთან საჭიროა  
ლაქუცი და კუდის ქნევა,  
ყველაფერზე დათანხმება,

უწნოთ ღრეჭა, პირმოთნევა.

მუხას ვაშლი აბიაო,  
როცა გითბრას თავმომწონედ  
მოახსენე: კი ბატონო,  
მართალს ამბობთ მაგას სწორეთ!

ამყოლს აპყევე, დამყოლს დაპყევე,  
გაგახტუნებს განაკიდეს,  
თორემ ჩაგრულთ ბედ-იღბალზე  
ზრუნვა ბევრს ჭირს გარდაგვიდებს.

შემცდარია, საზოგადოდ,  
ქვეყნისათვის ვინც რომ ზრუნავს,  
კუჭს თუ იძღებ, სხვების შავბედს  
რას დასდევ, თუ მრუდეთ ზრუნავს!!

რ. საჯავახოელი.

სარწმუნოება და მისი უარის გამოხადი  
(ჩვენში.)

III.

საიდგან და რაფრათ გაჩნდა ქვეყნიერო-  
ბაზე კაცი—აი ერთი უდიდესი მსოფლიო სა-  
კითხი, რომლის შეგნება-გამოცნობისკენ ყო-  
ფილა მუდამ ჟამს მიმართული კაცობრიობის  
საუკეთესო წარმომადგენლების დაუღალავი  
და თავდადებული გონებრივი მეცადინობა და  
რომელიც, მიუხედავად ამოდენი ხნის შრომი-  
სა, ღღესაც ისევ სადაო და საცილობელ სა-  
კითხავადკა დარჩომილი მეცნიერებაში.

იმ გარემოებამ, რომ კაცი თავისი ცხოვე-  
რება-მოქმედობით მკიდროდაა შეკავშირებუ-  
ლი გარეგან ბუნებასთან და ცხოველებთან,  
ჯერ ისევ შორეულ საუკუნოებში თავის თავ-  
ად დაუბადა ზოგიერთ ფილოსოფოსებს რწმე-  
ნა, რომ კაცი წარმოშობა ან მიწამ, ან ცხო-  
ველებმაო. მაგალითად, ფილოსოფოსი ანაქსა-  
გორის რწმენით კაცი, ცხოველები და მცენა-  
რები წარმოსდგნენ მიწიდან მზის სითბოს გავ-  
ლენის ძალით; ანაქსიმანდრის შეხედულობით  
კაცი დაიბადა ცხოველებისგან, დემოკრიტი  
კიდევ ასწავლიდა, რომ კაცი გამოიჩინა სი-  
ლისა და წყლისაგანო და სხვა ამგვარები.

1) იხ. „ზინ. საქ.“ № 8.



დღეს აღნიშნული დიადი საკითხის შესახებ მეცნიერებაში გამეფებულია თეორია, რომელსაც კაცი ცხოველთა და მცენარეების სამეფოს ბუნებრივ ნაწილად მიაჩნია და მის გაჩენას ხსნის დაბალი ორგანიული ფორმებიდან თანდათანობითი განვითარების პროცესით. „უხსოვარი დროიდან ჩვეულობად გვაქვს გადაქცეულიო“; ამბობს მოყვანილი თეორიის ერთი მიმდევარი, „უცქიროთ კაცს, როგორც ბუნებისაგან განმარტოებულად მდგომ არსებას და მის (ბუნების) გამგეს. აქამდე ჩვენ ვფიქრობდით, რომ კაცსა და დანარჩენ ქმნილებათა შორის ჩაწოლილია გაუვალელი უფსკრული, მაგრამ ეს შეცდომაა და არა სინამდვილე. კაცი ხელახლა უნდა შევიდეს ქვეყანაში, რომელსაც თავისი ნებით გაშორდა და იცნოს დანარჩენი არსებანი, თუმც არა მისოდენ განვითარებულნი, ყველაფრით თავის მსგავს და მონათესავე ქმნილებად. ოდნავაც საეჭვო არაა, რომ როგორც გაჩენის სახით, ისე განვითარების კიბის პირველი ნაბიჯებით კაცი იგივეა, რაც მისი მახლობელი ცხოველები. ადამიანი უფრო ახლოა მაიმუნზე, ვიდრე მაიმუნი ძაღლზე; ანატომიური განსხვავება კაცსა, გორილასა და შიმპანზეს შორის იმდენად სახეში მისაღები არაა, რამდენადც გორილას განსხვავება დაბალი ხარისხის მაიმუნებისგან“-ო. მოყვანილი თეორია დაფუძნებულია ორგანიზმებთა განუსაზღვრელი ცვალებადობის მოძღვრებაზე, რომლის მამათმთავრად ითვლება ლამარკი. ამ სწავლულის წინეთ არ სწამდათ ორგანიზმებთა ცვალებადობა. სხვათა შორის, კიუვეს გავლენით, მეცნიერებაში მიღებული იყო, რომ არსებათა ყოველი გვარი დაბადებულია შემოქმედისაგან უცვლელი სახით და სრულებით განმარტებული ფორმითო. გეოლოგიურ ფაქტებს, რომლებიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთა ცხოველები სრულებით აღარ არსებობენ დღეს და ზოგიერთები, თუმც არსებობენ, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან უხლანდელი ცხოველებისგან, კიუვე განმარტებდა შემდეგი მოსაზრებით: ქვეყნიერებას თავს ატყდებოდა ხოლმე ისეთი მოულოდნელი და საშინელი უბედურობები (კატაკლი-

ზმები), როგორც წარღვნა და ამ გვარი მოვლენანი სპობდენ და წალკაედენ ხოლმე ყველაფერს ქვეყნიერობაზეო. შემდეგ, როდესაც უბედურობა გადივლიდა, შემოქმედი დედაძინის პირიდან ალგვილ ქმნილებებიდან ზოგს სრულებით აღარ აღგენდა, ზოგს ისევ წინანდელი სახით აჩენდა ხელმეორედ და ზოგს სრულებით ახალი გვარისას ჰბადებდაო. ამ თეორიას მდგრად შეებრძოლა ლამარკი. ლამარკმა მტკიცეთ გამოსთქვა აზრი, რომ ცხოველების პირობების გავლენისა და ორგანოების ხმარება-ვარჯიშობის ძალით ცხოველები განუსაზღვრელად იცვლებიან, სხვაფერდებიან და ვითარდებიანო. იცვლიდა, მაგალითად, რაიმე მიზეზის გამო ზედაპირს ეს თუ ის კუთხე ქვეყანისა და ამას უცილობლად თან მოსდევდა შეცვლა ცხოველების ცხოვრებისა, ე. ი. მათი მოქმედებებისა, ჩვეულებებისა და მოთხოვნილებების შეფერება ანუ შეგუება ცხოველების შეცვლილ პირობებთან. ახალი მოთხოვნილებების განხორციელება ცხოველების ზოგიერთა ორგანოების მოქმედებას აძლიერებდა, ართულებდა და მეტად ავარჯიშებდა, ზოგიერთების კი სრულებით სპობდა, ან შესამჩნევად ამცირებდა, რადგანაც თვით ეს ორგანოები საჭიროდ აღარ ამოჩნდენ ცხოველებისთვის ახალ პირობებში. აღნიშნულმა გარემოებამ თავის მხრივ ცხოველების ორგანოთა აგებულებაში დაბადა მრავალი ცვლილებანი, რომლებიც გადადიოდნენ რა მემკვიდრეობით ჩამომავლობაზე, იქაც კიდევ ნელ-ნელა და თანდათანობით რთულდებოდენ, მატულობდენ და ვითარდებოდენ სანამ ბოლოს გარკვეული სახით არ ჩამოყალიბდნენ შორეულ მოდგმაში. ასეთია ლამარკის თეორიით პროცესი, რომელმაც შექნა ცხოველების სახეთა აუარებლობა!

ეს თეორია შეიქნა ბუნების მეტყველების ახალი მიმართულების საფუძვლად; ახლა ამ საფუძვლით ჩინებულად ისარგებლა ცნობილმა დარვინმა: დარვინმა ლამარკისაგან ჩავდებულ სამირკველზე ამოიყვანა ხელოვნურად გაწყობილი ფართო შენობა გვართა წარმოდგამას თეორიისა.

ლამარკმა ვერ ისარგებლა საკვებით თა-

ვისი საკუთარი თეორიით; ამ მოსაზრებით იგი ხელმძღვანელობდა მარტო ცხოველების გვარ-თა წარმოდგომის განსამარტებლად; რაც შეეხება კაცის გაჩენას, ის არ შეხება ამ საკითხს ისე, როგორც თხოულობდა მისი თეორია, მან ეს საკითხი დასტოვა საკუთარი თეორიის გარეშე. მაგრამ რაც ლამარკს დააკლდა, ის დარვინიზმს შეასრულა. დარვინის აზრით კაცის მახლობელი წინაპარი მიიმუნის მსგავსი ცხოველია, მაგრამ ეს მხოლოდ მახლობელი წინაპარია და უნდა გვახსოვდეს, რომ კაცს შორეული წინაპარიც მოეპოება; უკნასკნელის ნასახი, თესლი ანუ ფესვი ძირი იფარვის იმ საერთო პირვანდელ დაბალ ფორმაში, რომლიდანაც დაიზადნენ კაცთან ერთად ყველა ცხოველები და მცენარეები თანდათანობით განვითარების კანონის ძალით. ესეთი განვითარება კაცისა, ცხოველებისა და მცენარეებისა უცბად და მოკლე ხანში არ მომხდარა, ის გრძელდებოდა მილიონთა მილიონების საუკუნოების განმავლობაში.

ეს თეორია მეცნიერების უკანასკნელ სიტყვადაა მიჩნეული საზოგადოებაში და მეტად დიდი ნდობით ეპყრობიან მას ფართო წრეებში. თეორია, როგორც ვხედავთ, კაცის გაჩენას აწერს ბუნებას ძალებს და ამით ძირიანად უარს ჰყოფს სარწმუნოებრივ მოძღვრებას ამ საკითხის შესახებ. შემდეგ წერილებში ვეცდებით რამდენადაც შეიძლება გარკვევით და ცხადათ აღნიშნოთ თეორიის ის სუსტი მხარეები, რომლებიც მას უკარგავენ მეცნიერულ საბუთთანობას. ეხლა კი აზრათ გვაქვს დავაბოლოოთ ეს წერილი მოკლე შენიშვნით იმის შესახებ, რომ ზოგიერთა ჩვენებურ ვაუბატონებს, რომლებსაც არაოდეს თავი არ შეუწუხებიათ ცოდნა-განვითარების შეძენით, დარვინის თეორია კაცის გაჩენის შესახებ დაურღვეველ დოღმატად და ექვ გაუკარებელ აქსიომად დაუსახავო. აი, მაგალითად, რა გადაჭრილი და მტკიცე კილოთი ბჭობს ადებულის საკითხის შესახებ ჩვენი სახეო განთქმული ჯანაოზ ექიმი ერთ-ერთ თავის თხზულებაში: „მეცნიერებამ ახსნა, რომ უძველესი ადამიანი თან-და-თან განვითარდა პირუტყვისაგან და

ამიტომ ის გონებით, ზნეობით, ფიზიკური ორგანიზაციით და საზოგადოებრივი ცხოვრებით, უმწვერვალესად კი არ იყო განვითარებული, არამედ გაცილებით დაბლა იდგა დღევანდელ ადამიანზე, ისე დაბლა, რომ ჩვენ წარმოდგენაც კი არ შეგვიძლიან. დღევანდელი ადამიანი მთელი თავისი ორგანიზაციით და ცხოვრებით ნაყოფია ხანგრძლივი განვითარებისა“ (ეროვნული საკითხი 1-2 გვერდი).

ეს რა ამბავია შენს თავს, ბატონო „დოქტორო“. შე დალოცვილის შვილო ქრისტე მაცხოვარს და მის მოციქულებს არას უჯერებ, მათ ნათქვამს და ნაწერს უღმობელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებ და დარვინიკ ხომ ცნობილი კნენა სალომე არ არის, რომ მისი ნათქვამი ასე თვალდახუჭულად დაგეჯერებია! „მეცნიერებამ ახსნა, რომ უძველესი ადამიანი თან-და-თან განვითარდა პირუტყვისაგან“-ო რა ბძანებ, ამისი დამამტკიცებელი საბუთები შენ მეცნიერულ კაბინეტის თაროზე გილაგია? თუ ხათრი გქვს, ჩვენც დაგვანახე ეს საბუთები, თორემ უამ სოდ ერთ მაწყულადაც არ ვიყიდით ამ შენს უაზრო სიტყვების რახი-რუხს. დაგვაჯერე თვალთ დ.სანახი და ხელში დასაქერი საბუთებით, რომ კაცის განვითარების პროცესს არასოდეს არ გადალობებია წინ შემაფერხებელი პირობა, რომ შენი მახლობელი ბაბუა მიიმუნ, პირველში ადამიანი არ იყო, რომ იგი მიიმუნად არ აქციეს ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა.

რომ ძალიანაც გავიწყვე, მაინც გეტყვით, რომ ცოდნითა, განვითარებით და მეცნიერებასთან ერთობით ერთი ორი თაბახით მაინც უნდა გჯობდეს ბ. ვირხოვი და აგვისენი, ბატონო ექიმო, რას ნიშნავს ვირხოვის შემდეგი სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა 1877 წელს მიუნხენში შეკრებილ გამოჩენილ ბუნების მეტყველებს დარვინის თეორიის მეცნიერულ ღირებულობის შესახებ: „თუ მტკიცეთ ვიდგებით საბუთთანობის ნიადაგზე, უნდა საბოლოოთ ვიწამოთ, რომ კაცსა და მიიმუნ შორის უკიდურესი ხასიათის განსხვავებაა, ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვასწავლოთ ვისმეს, ან გავავრცელოთ საზოგადოებაში რომ

გორც მეცნიერული აღმოჩენა, ვითომც კაცი ჩამომავალია მაიმუნისა ან სხვა რომელიმე ცხოველისა. ეს მხოლოდ ჰიპოტეზაა და მეტი არაფერი, ამასთან ჰიპოტეზა იმ გვარი, რომ თვითეული ქეშმარიტად მეცნიერული აღმოჩენა თანდათან გვაშორებს მისგან და ექვს გვიბადავს მის სინამდვილეზე\*?

ახლა შენ იცი, პატიოსანო მკითხველო, მეცნაერს დაარქმევ, თუ წრეგადასულ თავხედს ზემო მოყვანილ ქართულ წიგნაკის დამწერს, მეცნიერულია მისი მსჯელობა კაცის გაჩენის შესახებ, თუ ქუჩური და მასხრული?

სეფეველი.

**სამღვდელოების ავ-კარგი.**

(წერილი მეორე\*).

პირველი წერილის დასასრულს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დღეს მწვავე დამოკიდებულება არსებობს მღვდელსა და ერს შორის ნივთიერ ნიადაგზე, განსაკუთრებით კი სოფლად. ამ დამოკიდებულების გაძლიერებას ხელს უწყობს ზოგიერთი ჩვენებური პუბლიცისტები და ჩიტირეკია მქადაგებლები. რა მოჰყვით საფუძვლად? სამღვდელოება ხალხს გვერდში არ უდგას და იმას არ ასწავლის, რაც მას ესაჭიროებაო, იხახდენ ამის წინად ყოველი მშრიდან და ამასვე იმეორებენ დღესაც. ვნახოთ მართალია ეს, თუ არა? მაშ ვინ უდგია ხალხს დღემდის გვერდში, თუ არ ისევ სამღვდელოება? არც ერთი წოდება, ან თუ ძალიან გეხალისებთ თქმად, არც ერთი კლასი ისე დაახლოვებული არ ყოფილა ხალხთან, როგორც სამღვდელოება. იგი მუდამ გვერდში უდგა ხალხს და მასთან ერთად შუაზე იყოფდა მის ქირსა და ვარამს; თვითონ ხალხის შვილი, ხალხშივე იყო და იქვე ამოდიოდა გაჯახირებული სული; ასწავლიდა იმას, რასაც მისი თანამდებობა ავალდებდა და სახარების სწავლა ითხოვდა და რასაც ხალხის გონება მისწვდებოდა.

\* პირველი წერილი იხილეთ „შინ საქ.“ მე 8 №-ში.

თუმცა ეს ნამდვილად ასე იყო და არის, მაგრამ ზოგიერთები მაინც გაიძახიან: სამღვდელოება ხალხს არ უდგას გვერდშიო. კარგად გვესმის, რასაც ნიშნავს ეს მათი ხალხის გვერდში ამოდგომა, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ამ საკანზე ცოტა სხვა შეხედულების ვართ და მათ აზრს ამ შემთხვევაში პირწმინდათ ვერ ვღებულობთ, ეს უთანხმოება, რა თქმა უნდა, გუნების საქმე არ არის. აქ აზრია უპრინციპიული განსხვავება. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ სამღვდელოება სრულებით ეწინააღმდეგებოდეს განმათავისუფლებელ მოძრაობის მიერ განზრახულ საქმეს და სავსებით იცავდეს ყოველივე ძველს განურჩევლად. ახლანდელი ცხოვრების მიერ გამოწვეულ კითხვებს: ეკონომიურისა, პოლიტიკურისა და სოციალურის აღსნასა და განმარტებას სამღვდელოებაც ისეთის გულის ფანქალით მოეღოს, როგორც ყოველი გონიერად მოაზრე ადამიანი, მაგრამ ამ კითხვების ამოხსნაში მას იმდენათ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, რამდენადაც ესენი მის გაველენას ექვემდებარებიან და რამდენადაც სარწმუნოება, ეს ერთად ერთი ქვა-კუთხედი ხალხის სულიერი ცხოვრებისა დასაბამიდან, ვიდრე აქამომდე, დაჩრდილული არ იქნება სხვა საქირბორატო კითხვებით. კითხვა „ყოფნა, არ ყოფნის“ შესახებ, ეს ისეთი მწვავე კითხვაა ჩვენთვის, რომ სამღვდელოებას არ შეუძლია მუხლი არ მოიდრიკოს მის წინაშე და მთელი თავის არსებით მას არ ემონოს. დანარჩენი? დანარჩენი კითხვები მისთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც ისინი სარწმუნოების აღყვავებას უქადიან და არა მოსპობას.

ეს უმეკველია თვითონაც კარგად იციან, მაგრამ თუ სამღვდელოებას მაინც უსაყვედურებენ, ეს იმიტომ, რომ სთქვან: „ჩვენა ვართ, რაც ვართ! ჩვენ გვებრალება და გვიყვარს გაუნათლებელი ღარიბ-ღატაკი მუშა-კაცი, ჩვენ მივუძღვიეთ პროლეტარიატს და სხ...“ მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ტყვიის ყოველთვის მოკლე ფეხები ასხია. მათი ტყუილიც აშკარად დაინახა ხალხმა და აღარ ინდობა ძალადმაცხოვნობა, ზურგი უჩვენა და შეიქმნა ყოთ-

ნა: „ეს ყველაფერი მღვდლების ბრალია; ის აბრეყებს ხალხს, ის რომ არ იყოს და სხვ.“ ეს დალოცვილები დაუფიქრდენ მაინც, რასაც ამბობენ! თვითონ ცხრა ქცევაზე არ ეკარებოან ხალხს, შორიდან უძღვნიან სალამსა და მოკითხვას, სამღვდლოებას კი უკიუნიებენ, გვერდში არ უდგას ხალხსაო. „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“, აი ნამდვილად ეს არის. ვინც უდგია ხალხს გვერდში, ამას, რასაკვირველია, თვითონ ხალხიც კარგად ხედავს, მაგრამ კარგს ინებებდენ ჩვენი მოღვაწენიც, რომ თვალეები მოეფუვნებინათ და თვითონაც დაენახათ. განა ამას გაბედავენ? ვერა. იმ ტომ რომ, ეს რომ მოხდეს, მაშინ ნათლად გამოჩნდება ყველაფერი: ერთის მხრით თვალწინ გადიშლება სოფლის უბადრუკი ცხოვრების მძიმე და აუტანელი პირობები და მეორე მხრით მათი არარაობა, ზოლო სამღვდლოების მკირედი მაინც ღვაწლი ხალხის საკეთილდღეოდ, და ეს, რა თქმა უნდა, მათთვის სასიამოვნო არ არის. მართლაც და ვინ იღვწის ღღეს სოფლად ხალხის საკეთილდღეოდ, თუ არა ისევ სამღვდლოება და რას წარმოადგენს თვით სოფელი, სადაც იგი იღვწის? სოფელი ღღეს ღღეს არათერს სანუგეშოს წარმოადგენს. საკმაოა კაცმა რამოდენიმე თვე გაატაროს სოფლად, დააკვირდეს მის ცხოვრებას, რომ აშკარად დაწმუნდეს, რომ იგი ყოველის მხრით გათახსირებულია და უმწეო; რომ იგი მოკლებულია გამამხნეველ ძალას და უშეცრებასა შინა სძევს, რომ სამკალი ფრიად არს, ზოლო მუშაკნი მკირედ! ავილოთ თუ გინდ მეურნეობის საქმე. ვინ არ იცის, რომ სოფლის მეურნეობა ღღესაც ჩვენში დაცემულია და მიწასთან გასწორებული. იგი ღღესაც იმ სახით სწარმოებს, როგორც ამ ასი-ორასი წლის წინად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირობები გაუარესდა: ტყე გაიჩეხა, მიწა წყალმა გადარეცხა და დახრამა, ნიადაგი გამოიფიტა. ახალი რამ კულტურული მეურნეობა კი სოფელში არავის შეუტანია და ხალხი ყოველ წლობით შიმშილობას განიცდის. სად არიან მერე ჩვენი ნასწავლი და გამოცდილი მეურნენი? განა საკითხავია? ქალაქად, კანცე-

ლარიებში და ქალაღღებზე გეგმეს ხატავენ. ჩვენის ფიქრით კი უმჯობესი იყო აქ, სოფლად, ღღდა-მიწის ნიადაგზე ეხატათ გეგმები, რომ ხალხს თავის საკუთარი თვლით დაენახა გაუმჯობესებული მეურნეობის სარგებლობა. მაგრამ ამას არა შვრებოან, რადგან სოფელი მწვირიანია, გაუნათლებელია და უმეცარი. ავილოთ კიდევ სწავლა-განათლების საქმე. ვინ იტყვის, რომ ჩვენს სოფელს სწავლა არ ეჭირვებოდეს?! პირ-იქით ყველგან უმეცრებაა, ყველგან სიბნელე და ხალხიც მოწადინებულია გამოვიდეს ამ სიბნელიდან, გაიგოს ქვიყნიერობის ავ-კარგი, მაგრამ ვინ არის მშველელი? რიგოანი გულშემატკივარი მასწავლებელი სოფელს არა ჰყავს. ყველა სოფელს უფრთხის და ჯაქვითაც რომ დაასათ, სოფელში არ იცდის; ქალაქი კენ მიეშურება და თბილ ადგილს ექებს სოფელში კი მარტო უფიცი და გაჭირვებული მასწავლებელი იცდი, რომელსაც სწავლა განათლების თვითონაც არა გაეგებარა. აი აქ, ღღდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ჩვენს მოწავლეს ახალგაზღობას, სტუდენტებს, რომ გული უწევდეთ სოფლისკენ. ზაფხულობით მოჰყენოდენ სოფლებს: ზოგს ანბანი შეესწავლებინა ხალხისთვის და ზოგს სამეცნიერო საუბრეში გაეპართან; თვითონაც სარგებლობას ნახავდენ და სხვასაც არგებდენ. მაგრამ, არა! ამას ვერ ვხედავთ. ისინიც სოფელს გაურბიან და ქალაქს არჩევენ; ქალაქში სამიღვაწეოდ ენზადებოან. ღმერთმა მშვილობა მისცეთ!

ავილოთ კიდევ ჯან-მროღლობის საქმე სოფელში. განა სოფელი ღღეს განათლებულ ექიმებს არ საჭიროებს? მოგოცათ სიცოცხლე, საჭიროება ღღდია, მაგრამ ჩვენს ექიმებს არა თუ სოფელში ცხოვრება და მოღვაწეობა, ავამყოფებრს სანახავად წასვლაც ჰირიით ვზარებათ. თუ ეტლი არ მიუღდება, ისე ტყუილად ნუ გაახსენებთ სოფელს; ორი ზომა ფასი რომ შეაძლიოთ, ფხსაც არ გაადგამენ. ეს როდის? როცა სოფელი უექიმობით იღრჩობოდა. — ავილოთ კიდევ... მაგრამ რამდენი ერთი კიდევ ავილოთ?! რომელ მხარესაც კი აიღებთ, ყველგან გასაკეთებელსა და სამუშაო

საქმეს პრაქტიკად იპოვნით, მაგრამ ჩვენებური ინტელიგენტი სოფელს გაუბრის, შავს საქმეს ერიდება და ქალაქისაკენ მიეშურება, რადგან იცის: „შეგნებულთან ქირი სჯობია, შეუგნებელთან ლხინს“. სოფელში კი ერთად ერთს ინტელიგენტურ ძალას ისევ სამღვდლოება წარმოადგენს, ის ძღვენი მხოლოდ მარტო შეძლებისადგევარად სოფელში. თუ კი დღემდის სოფელში რაიმე საკეთილო საქმე გამოწყებულა, მის დაარსებასა და აღორძინებაში სამღვდლოებას ყოველთვის მხურვალე მონაწილეობა მიუღია: ის ყოფილა მისი მეთაური და ხელმძღვანელი. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ სამღვდლოების მიერ თავის პირდაპირ მოვალეობის აღსრულებასაც, რომელიც თავის თავად მძმე და დიდი პასუხ-საგები საქმეა ღვთისა და კაცის წინაშე. ვანა ყოველივე ესე სამღვდლოებას დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს? რასაკვირველია, არა, მაგრამ მაინც უთვლიან კი და სამღვდლოების ის მკირედი სასყიდელი, რომელსაც საზოგადოება მისთვის იმეტებს ამ ფრიად მძიმე შრომისათვის, ყველას ეკალივით თვალში ესობა. მაგრამ ამაზე შემდეგ.

Fanius,

(შემდეგი იქნება).

**სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი**

ცხოვრების წინაშე მარათადა საფუძველი.

გაგრძელება.\*)

შემზარავი თეორია! ფართაშობენ უმჯობესნი კი არა, უფრო მძლიერი და მტაცებელნი. სიყვარულმა, — სიპრალულმა და ქვეშაირიტებამ გზა უნდა დაუთმონ ძალმომრეობას, უსინიდილობას და ბოროტებას. დიონოს სირაკუზელი ტირანი, იროდი დიდი, ნერონი, ცეზარი, ბოროჯია — აი ვინ არიან ნიცეს მოძღვრების

წარმომადგენელნი. სად არის აქ მეცნიერების გან ალექსუოი ბედნიერება კაცობრიობის ოჯახობის თითველი წევრისა, სად არის გამარჯვება სიყვარულისა და სიმართლისა? სად არის საყოველთაო ურთიერთობა, საყოველთაო სიყვარული? ნიეთიერ პროგრესთან ერთად მეცნიერებას რათ არ მოაქვს ზნეობის გაუნჯობესობა; რათ არ სთხრის ძირიან ფესვიანად ბოროტებას? მაგრამ, ვაი, რომ ეს მისი საქმე არ არის! ბოროტების მიხეზი ზნეობრივი თვისებისაა, მეცნიერება კი უძღურია ზნეობრივ ბოროტების წინააღმდეგ. მას შეუძლია შემუსროს კლდე, შექმუქნოს ლითონის ნამზღვლევი, მაგრამ მკაცრი, ღვარძლიანი გულის მოღობა მის ხელთ არ არის, მას არ შეუძლია ყველა ეს დიადი მოგონებანი, დიდება ჩვენს საუკუნისა, წერილმანია თავის შინაგანი დანიშნულებით, არარაა იმ მიზნებით, რომლებსაც იგინი ემსახურებიან. მათი როლი უფრო ხშირიათ მიი განისაზღვრება, რომ დაეხმარონ მხოლოდ მატერიალურ პროგრესს, გააფართოვონ ადამიანის უფლება ბუნების ძალებზე, გაუადვილონ სიმდიდრის შექმნა და ცხოვრების შესაფერად მოწყობა. „მოციქულები და ფილოსოფოსები, რომლებიც ხალხთა შორის ძმობას ჰქადაგებდნენ და ადამიანის პირად უფლებებზე ლაღებდნენ მშვენიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას უტელეგრაფ უტელეფონოთაც; აურაცხელი მავთულები კი, რომლებსაც დღეს ობობას ქსელივით შეუბოქვს მთელი ქვეყნაერება, ემსახურებიან უმეტეს ნაწილად ბირჟის პლუტობას და ზნეობრივ ლილიბუტების (კაცუნების) პოლიტიკურ თამაშზე გაზეთების ლაყობას“. ერთი სიტყვით ცოდნა, მეცნიერება არის იარაღი, რომელიც, შეიძლება, სასარგებლო იქნეს და დამღუპველიც იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვხმარობთ ჩვენ ამ იარაღს. მეცნიერებაჰ, მაგ., მოიგონათოფის წამალი და მშვიდობის მოყვარე ჩინელი, განყოფილი თავისი მაღალი კედლით დანარჩენი ქვეყნიერებისაგან, მთელი საუკუნოები სარგებლობდა მითი თავის შესაქცევად, აკეთებდა შუშუნებს!), ხოლო ომის მოყვა-

\* ) იხ. „შინ. საქ.“ № 13.

) Кольнъ—Ист. Культура ст. 778. ჩი-

რე ევროპიელმა, რომელიც თავის კულტურის სიმაღლიდან ასეთ მედიდურ ზიზლით უყურებს დაქვეითებულ ჩინეთს, წამალს მიუმატა თოფეი, ზარბაზნები, ყუმბარები; მილიარდებს ხარჯავს მის გასაკეთებლად და შვარცის, შასპოს, ბერდანის, მაუზერის, დიუბელის, მარტინის, ამსტრონგის, ნორდფელტი, გოჩკისის, მაქსიმის, კრუპის და სხვების, რომელთა სახელი ლევეონია, მოგონებების საშუალებით მილიონობით ხოცავს თავისსავე ძმებს. რომ შევადაროთ რაოდენობა თოფის წამლისა, დინამიტისა და პიროქსელინისა, რომლებიც დაიხარჯა ალყის დროს ადამიანთა მშვიდობიან თავ შესაფართო დასაქცევად, ამავე ნივთიერებათა რაოდენობას, რომელიც ჰობმარდა გზების გაუნჯობესობას, ხალხის მშვიდობიან მომოსვლის მიზნით მალაროების გახბრს, ვიწრო ხეობების გაფართოებას, წყალქვეშ მდგომ კლდეების დანგრევას, მაშინ, კაცობრიობის ზნეობრივ განვითარების მიხედვით, რა მოსაწყენი მოწმობა უნდა მივცეთ კულტურულ ევროპას! მარტო მეცნიერული განათლება წვრთენის მხოლოდ გონებას და თუ ადამიანი ბუნებით მხეცია, სწავლა მის კბილებს უაღმოსესებს, ფრჩხილებს უღესავს. გონება ამხადებს ნიად გს, რომელსაც პოულოტენ სხვა ძალები. გონება აღმასრულებელი ძალაა, ხოლო კანონმდებლობითი უფლება, ხელმძღვანელობითი ძალა ეკუთვნის გულს. სახარებაჲ ცხრამეტ საუკუნის წინ წარმოსთქვა: „გულიდგან გამოვლენ მოგონებანი კეთილნი და ბოროტნიო“. გულთა-მხილავმა ქრისტე ღმერთმა პირველად უჩვენა ქვეყნიერებას, რომ ერთად ერთი წყარო საზოგადოებრივი, პოლიტიკური, და ყოველი ისტორიული ცხოვრებისა არის ადამიანის გული და რაც უფრო იგი სრულია, მით უფრო სრული იქმნება ყოლიფერი, რაც მისი შექმნილია. თუ გინდათ შესკვალოთ ის

ცხოვრება, რომელშიდაც ტრიალებთ, ამბობს ქრისტიანობა, აღზარდეთ თქვენი გული. ძმური, სიყვარულით ცხოვრება, სასუფეველი ღვთისა დედამიწაზე, შესაძლებელია მხოლოდ ეს უნდა ვეძიოთ გარეთ სადმე კი არა, არამედ ჩვენ შინაგან არსებაში, ჩვენ გულში. გული კი მეცნიერების სარბიელს არ შეადგენს სარწმუნოებას სამეფოა. გარეგანი, მექანიკური საშუალებით არ შეგვიძლია გავაძლიეროთ ადამიანის ზნეობრივი ბუნება. მეცნიერება ვერ შეუცვლის ადამიანს ნებას. შიშით ან აიძულობით, შეიძლება, თავი დაანებებინოთ მას ამა თუ იმ მოქმედებისათვის და არა ცუდი ნებისათვის, რომელიც შინაგანი მოძრაობაა, რომელიც არა დამოკიდებული გარეგან ძალებზე. ადამიანი რომ ზნეობრივად განახლდეს საჭიროა თავისუფლად დემორჩილოს ისეთს მიმზიდველობის მექონ ძალას, რომელიც ღრმად აღევლებს მის გრძნობებს, მიღრეკილებას, იწვევს სამოქმედოთ ყოლიფერს, რაკ კი უნჯობესია მათში და იძლევა საშუალებას, რომ ადამიანის ბუნების საუკეთესო მხარეები გამეფდნენ მდაბიოზე. ასეთს ძალას კაცობრიობისათვის წარმოადგენს მხოლოდ სახარების სარწმუნოება. სახარება გვეუბნება ჩვენ, რომ ღმერთი არის სრული სიყვარული და უადრესი (ИСКЛЮЧНЫЙ) სიმათლე, იგი გვიხატავს მისს დამოკიდებულებას ქვეყნიერებასთან და ჩვენს მისდამი მოვალეობას. ამით იგი ავსებს ჩვენს გულს უმაღლესი არსების კრძალვით და მოწიწებით თაყვანისცემით, გვიღვიძებს სურვილს, რომ ღირსი გავხდეთ მისი სიყვარულისა, გვიწვევს დავემორჩილოთ მის სჯულს, როგორც უცვალეველ ზნეობის კანონს. ქრისტიანობა და მხოლოდ ის უმაღლესი სიწმინდის სახელით, რომელიც თვით ღმერთია, ყოველ წუთს აიძულებს ადამიანს ზნეობრივად იზარდოს.

ნელემა იკოდნენ თოფის წამალი იაკრამ თავის დღეში არ ჰქონიათ ცეცხლ მფრქვეველი იარაღი. Пешель нар. доведение стр. 372 „ჩინელებმა ევროპელებზე უწინ იკოდნენ თოფის წამალი და ხმარობდნენ მხოლოდ შეშხუნებისთვის“.

აქედგან საზოგადო დასკვნა ასეთია. უმაღლესი, (საყოველღროვო) იდეალი მთელი კაცობრიობისა არის სახარების მიერ ნაჩვენები „სასუფეველი ღეთ სა“. ამ იდეალის განსახორციელებლად საჭიროა: ზნეობრივი განახლება

ადამიანის თმელი სულიერი ბუნებისა, ქრისტიანული შეხედულების შემუშავება ქვეყნიერებაზე, ისეთი ნების აღხრდა, როგორსაც თხოულობს სახარების სრულად და სიმართლედ. ამ გზაზე მამოძრავებელი ძალაა სარწმუნოება. ისეთი დასკვნა, სრულიადაც არ ამცირებს მეცნიერებას და მეცნიერებასაც არ აქვს უფლება, რომ სარწმუნოებას შეეცილოს ამ საქმეში. მეცნიერებას აქვს თავისი განსაკუთრებული მოქმედების სფერა, დიდი მნიშვნელოვანი და საპატიო; თითოეული მისი გამარჯვება ამ სფეროში არის მასთან ერთად უდიდესი მოწყალება კაცობრიობისათვის. ორივე ეს სარბიელი: სარწმუნოების გავლენისა და მეცნიერების გავლენისა, თუ ორივე კარგათ გაქვს შეგნებული, სრულებით არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: იგინი მხოლოდ ასრულებენ ერთი მეორეს. და თუ სარწმუნოებისა და მეცნიერების წარმომადგენელთა შორის ხშირად შეტაკება მოხდება ხოლმე, ეს სამუშაო გარეგნობით უნდა აიხსნას: მით რომ ჩვენ ვერ გამოავიკვევთ ის საზღვრები, რომელთა შორის უნდა მოქმედებდნენ ერთისა თუ მეორეს წარმომადგენელი. არის საშუალო საუკუნეთაგან გადმონაცემი მოთხრობა ორ რაინდზე, რომლებიც ორთა ბრძოლაში ერთმანეთს სა'იკვდინედ ებრძოდნენ. მიზეზი ამ ბრძოლისა ის იყო, რომ იგინი ერთმანეთს ბრალს სდებდნენ მტკნარ სიტყუეში: ერთი ამტკიცებდა ფარი თეთრიაო, მეორე კი წინააღმდეგ ფარი თეთრი კი არა, ცისფერიაო. საქმე ორთა ბრძოლით უნდა გადაწყდარიყო მაშინ, როდესაც ორივენი მართალი იყვნენ, რადგანაც ფარი ერთის მხრით, რომელსაც პირველი ხედავდა, თეთრად იყო შედებილი, ხოლო მეორეს მხრით, რომ მეორე რაინდი ამჩნევდა, — ცის ფრად. საცილობელი ფარი რომ რაინდებს ცალის მხრით კი არა, ორივე მხრით გაესინჯათ, ან და, თუ ეს შეუძლებელი იყო, რომელიმე მიზეზისა გამო, თითოეულს აღიარებია, რომ მან საგანი მხოლოდ ცალმხრედ გაიკნო, ე. ი. იმ მხრით, რომელიც მისთვის მასწავლობი იყო, რომ მს უფლება აქვს ილაპარაკოს ფარის მხოლოდ ნაცნობ მხა-

რეზე, მაშინ გაუგებრობა არ მიიყვანდა მათ სისხლის ღვრამდის, რაინდები ცუდად არ დიწყებდნენ ლახვრების მტკრევას უადგილო ორთა ბრძოლაში, არამედ ძმურად გაუწვიდნენ ერთმანეთს ხელს და ერთად იბრძოდნენ საერთო სიკეთისათვის.

მეცნიერებისა და სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის ბრძოლაც ასეთივე გარემოებით აიხსნება. მეცნიერებასაც და სარწმუნოებასაც ერთ და იმავე საგანთან აქვთ საქმე: ვეებერთელა ქვეყნიერების სხეულთან მთლად და, კერძოდ, ადამიანთან, რომელიც უსაზღვრო ქვეყნიერების სივრცეში წარმომადგენს რაღაც განსხვავებულ, განკერძოებულ, თავის შორის ჩაკეტილ პატარა ქვეყანას. სარწმუნოება და მეცნიერება პასუხს აგებენ ჩვენის გულისა და გონების კითხვებზე და ამით სხვა და სხვა მხრით ნათელს ჰფენენ ქვეყნიერების არსებობის გამოცანას. მეცნიერება იკვლევს სამუდამო შეურყეველ კანონებს, რომლებზედაც დამყარებულია ქვეყნიერების ცხოვრება; იძიებს და უმორჩილებს ადამიანის გონებას ბუნების ახალ ახალ ძალებს; იკვლევს ადამიანის გარეგან, ფიზიკურ დამოკიდებულებას იმ გარემოებათაგან, რომლებშიდაც იგი ჩაყენებულია. მოკლეთ რომ ვსთქვათ, მეცნიერებას მიზნათ აქვს შეძლებისადაგვარად პასუხი მისცეს შემდეგს კითხვაზე: როგორ სცხოვრობს ქვეყნიერება? სარწმუნოებას სულ სხვა საგანი აქვს: იგი პასუხს აგებს შემდეგ კითხვებზე: როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ქვეყანაზე? რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს მან ქვეყნიერებასთან და მასთან, ვინც ქვეყანაზე მალა დკას, ე. ი. უზენაეს არსებასთან? სჯულის მეცნიერმა ჰკითხა ქრისტეს: „უფალო რა ვქმნა, რათა ცხოვრება საუკუნო დაეიმკვიროო“ და ამავე კითხვით მიმართავს ყოველი ქრისტიანი ქრისტე'გან დაფუძნებულ სარწმუნოებას, სრული დარწმუნებული, რომ იგი არა თუ მიიღებს სა'ურველ პასუხს სახარების მოძღვრებაში, არამედ ღმერთთან და ხლოვებულ, ცოცხალ ლოცვით ერთობაში მოიპოვებს ზნეობრივ ძალას, რომელიც საქირაო მისთვის,

რომ ყოველ მის კერძო მოქმედებაში, გრძობაში და სიტყვაში იმალება ღვთის აზრი, რომელიც იძლევა ცხოვრების უფლებას. თუ ამ ნაირად გავიგებთ მეცნიერებასა და სარწმუნოების საგნებს, თუ ასე გავსაზღვრავთ მათ მოქმედების სფერას, გნა საჭირო იქნება კიდევ, ვილაპარაკოთ სარწმუნოების და მეცნიერების უთანხმოებაზე და იმის საჭიროებაზე, რომ ერთი მეორით შეიცვალოს?

გზა იმ ცხოვრებისა, რომელსაც უკვლავი აზრი აქვს, კაცობრიობის ჯერ კიდევ არ გაუვლია, ამიტომაც მით უფრო უცხოთ გვეჩვენება, როდესაც გვეუბნებიან, რომ სარწმუნოებამ თავის წუთისოფელი მოსკამა და გზის მხვენებელ ვარსკვლავად, მომავალ ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალად მეცნიერება უნდა გახდესო. ი. ქრისტე ლუკას სახარებაში ამბობს: „რას მივამსგავსო სასუფეველი ღვთისა? ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეერთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდის აღაფუნვოს ყოველი. (ლ. 3, 20-23). ამ იგავის აზრით რომ ვილაპარაკოთ, უნდა დაუმატოთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება საჭიროა კაცობრიობისათვის, როგორც საფუნებელი ფქვილისათვის და მანამდის სანამ თითოეული ადამიანი არ გაიმსკვალება სახარების სულით, ქრისტიანობის ადგილს ვერაფერი ვერ დაიჭერს. ამაზედ შეიძლება გვიპასუხოთ, რომ არის საკმაო რიცხვი ადამიანებისა ყოფაქცევის უმაღლესი მოტივებით გაუღწეოთილნი და წმინდა, როგორც ბრალი, ცხოვრების მექანენი, რომლებიც სრულიად აშკარად აღიარებენ თავის ურწმუნოებას, უარს ჰყოფენ ყოველ სარწმუნოების მოძღვრებას და მის გავლენას მათ ცხოვრებასა და მოქმედებაზე ტიპიურ წარმომადგენელად ასეთის ადამიანებისა შეგვიძლია დავასახელოთ საფრანგეთის მსწავლელი ლიტტრე, „ეს წმიდანთა-

განი, რომელსაც ღმერთი არ აწამდა“, როგორც ახასიათებს მას მეორე საკრანგეთისვე მწერალი, კარო. გვეკითხავენ: რა ნაირად შევირიგოთ ასეთი ფაქტები ჩვენს წარმოდგენას სარწმუნოებზე, როგორც ყოველ ცხველმყოფელი ძალების კენტროზე, რომლებიც ამოძრავებენ და ხელ ახლად აშენებენ აწინდელ ცხოვრებას.

ე. ჩ.—ძე.

( შემდეგი იქნება).

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

## გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

### პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქმ. ე. მქედლიძის სახლებში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევი № 17) გაიხსნა კერძო ოთხკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთსხვა და სხვა სასწავლებლისათვის და ღებულობენ სარეპეტიციოდაც.